დანართი N1

დამტკიცებულია
სსიპ – კოლეჯ „სპექტრის“
დირექტორის 2020 წლის ---- ---------
N------- ბრძანებით

საჯარო სამართლის იურიდიულ პირ – კოლეჯ ,,სპექტრის“ პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის და მობილობის წესი, ასევე მიღებული პროფესიული განათლების აღიარების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის პროცედურა

პრეამბულა

წინამდებარე ,,საჯარო სამართლის იურიდიულ პირ – კოლეჯ „სპექტრის“ პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის და მობილობის წესი, ასევე მიღებული პროფესიული განათლების აღიარების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის პროცედურა“ (**შემდგომში – „წესი“**) არეგულირებს საჯარო სამართლის იურიდიულ პირ – კოლეჯ „სპექტრის“ სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ იმ საკითხებს, რომლებიც ეხება პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის მოპოვებას, შეჩერებას, შეწყვეტას, მობილობას, ასევე მიღებული განათლების აღიარების და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში.პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმებს.

რეგულირების სფერო

წინამდებარე წესი შედგენილია: საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის №244 დადგენილების; საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების; საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 19 მარტის №147 ბრძანების; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1-ლი ოქტომბერის №98/ნ ბრძანების; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბერის №152/ნ ბრძანების; საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების; საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 სექტემბრის №198/ნ და 12 დეკემბრის №1660 ბრძანებების საფუძველზე.

მუხლი 1. ტერმინთა განმარტება

წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) საჯარო სამართლის იურიდიული პირი – კოლეჯი ,,სპექტრი“- (შემდგომში - **„კოლეჯი“**);

ბ) კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად სსიპ – კოლეჯ „სპექტრში“ ჩარიცხული პროფესიული სტუდენტი - (შემდგომში - **„სტუდენტი“**).

გ) კოლეჯისა და სტუდენტს/მსმენელს შორის უფლება-მოვალეობების შესრულებისაგან დროებითი გათავისუფლება, სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეწყვეტის გარეშე - (შემდგომში **„სტატუსის შეჩერება“**);

დ) კოლეჯსა და სტუდენტს/მსმენელს შორის არსებული უფლება-მოვალეობების შესრულებისაგან გათავისუფლება პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის აღდგენის უფლების გარეშე. - (შემდგომში **„სტატუსის შეწყვეტა“**);

ე) პროფესიული სტუდენტის გადასვლა ერთი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში - (შემდგომში - **„გარე მობილობა“**);

ვ) პროფესიული სტუდენტის მიერ კოლეჯში არსებული ერთი პროფესიული ან მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამიდან სხვა პროფესიულ ან მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლა - (შემდგომში - **„შიდა მობილობა“**);

ზ) ჩარჩო დოკუმენტის/პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შემუშავებული და კოლეჯის მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - (შემდგომში - **„პროგრამა“**).

თ) **მსმენელი** – პირი, რომელიც ჩაირიცხა და სწავლობს პროფესიული მომზადების პროგრამაზე ან პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ან ტრენინგ-კურსზე (მოკლევადიანი პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამა) ან/და სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამაზე;

ი) **სერტიფიკატი** – სახელმწიფოს მიერ აღიარებული პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს პირის მიერ პროფესიული მომზადების პროგრამით ან პროფესიული გადამზადების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგ(ებ)ის, აგრეთვე ცალკეული მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგ(ებ)ის მიღწევას;

კ) **„პროფესიული მომზადების ან პროფესიული გადამზადების პროგრამის საგამოცდო კომისია“** - კომისია, რომელიც განიხილავს პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამის განმახორციელებელი პირ(ებ)ის მიერ მოწოდებულ მსმენელების შეფასების უწყისებს და მათზე დაყრდნობით შედგენილი ოქმით ითხოვს მსმენელებზე შესაბამისი სერტიფიკატების გაცემას.

ლ) **ტრენინგ-კურსის სერტიფიკატი** - კოლეჯის მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს პირის მიერ ტრენინგ-კურსით (მოკლევადიანი პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამა) გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

მ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში - (შემდგომში - **„დუალური პროგრამა“**);

ნ) **კრედიტი** – ერთეული, რომელიც მოიცავს დადასტურებული სწავლის შედეგების ერთობლიობას, რომელიც შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით იქნეს აღიარებული ერთი ან რამდენიმე კვალიფიკაციის მისაღებად.

ო) ერთი კრედიტის მოცულობა განისაზღვრება 25 ასტრონომიული საათით (ერთი ასტრონომიული საათი = 45 წუთი აკადემიური საათი + 15 წუთი შესვენება);

პ) **პროფესიული მომზადების პროგრამა** - პროგრამა, რომელიც პირს ამზადებს პროფესიასთან დაკავშირებული ცალკეული ამოცანების და მოვალეობების შესასრულებლად.

ჟ) **პროფესიული გადამზადების პროგრამა** - პროგრამა, რომლის მიზანია კომპეტენციების შეძენა ან/და განვითარება იმავე სფეროში პროფესიული საქმიანობის განსახორციელებლად.

რ) პროფესიული მომზადების პროგრამა, პროფესიული გადამზადების პროგრამა ან ტრენინგ-კურსი (მოკლევადიანი პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამა - (შემდგომში **„მოკლევადიანი პროგრამა“**)

ს) **მომლოდინე სტუდენტის სტატუსი** - „ქართული ენა A2“ ან/და „ქართული ენა B1“ მოდულის სწავლის შედეგების დაძლევის შემდეგ სტუდენტისთვის მინიჭებული სტატუსი.

ტ) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი - კოლეჯის დირექტორის მიერ გამოცემული აქტი (შემდგომში **„ბრძანება“**).

მუხლი 2. პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის სტატუსის მოპოვება

1. სტუდენტის სტატუსის მოპოვება ხდება „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის N152/ნ ბრძანების შესაბამისად.

2. დუალური პროგრამაზე სტუდენტის სტატუსის მოპოვება ხდება კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 17 ოქტომბრის №524 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ კოლეჯ „სპექტრში“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში აპლიკანტთა კონკურსის წესით შერჩევის (ჩარიცხვის) დებულების“ შესაბამისად.

3. მსმენელის სტატუსის მოპოვება ხდება „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების შესაბამისად ან/და დაინტერესებული პირის (ფიზიკური პირის/იურიდიული პირის/ადმინისტრაციული ორგანოს) წერილობითი მომართვის, ან შესაბამისი ფორმით რეგისტრაციის საფუძველზე კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური-სამართლებრივი აქტით დაინტერესებული პირ(ებ)ის ჩარიცხვის შემდეგ.

4. უცხოეთში მიღებული განათლების შემთხვევაში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბერი №98/ნ ბრძანების „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესის" საფუძველზე პირმა სტუდენტის სტატუსის მინიჭებამდე უცხოეთში მიღებული განათლების დამადასტურებელ დოკუმენტთან (ატესტატი) ერთად კოლეჯს უნდა წარუდგინოს სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული დოკუმენტი, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შესახებ.

5. პირს, რომელსაც წინმსწრები განათლება მიღებული აქვს ოკუპირებულ ტერიტორიაზე, სტუდენტის სტატუსის მინიჭებამდე კოლეჯს უნდა წარუდგინოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტი საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 19 მარტის №147 ბრძანების შესაბამისად.

6. პროფესიული მომზადების პროგრამაზე ან პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ან ტრენინგ-კურსზე (მოკლევადიანი პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამა) დაიშვება პირი, რომელიც აკმაყოფილებს შესაბამისი პროფესიული მომზადების პროგრამით ან პროფესიული გადამზადების პროგრამით ან ტრეინინგ-კურსით (მოკლევადიანი პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამა) დადგენილ პირობებს.

მუხლი 3. სტუდენტის სტატუსის შეჩერება

1. <u>სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:</u>

ა) პირადი ან არასრულწლოვანი სტუდენტის შემთხვევაში მშობელის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადება მიზეზის მითითებით. მიზეზის შინაარსი არ შეიძლება გახდეს სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერებაზე უარის თქმის საფუძველი.

ბ) სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა - სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე თუ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულია პატიმრობა;

გ) სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა, თუ გასული არ არის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში გასაჩივრების ვადა;

დ) ჯანმრთელობის მდგომარეობა - ავადმყოფობა ან ორსულობის იმგვარი მიმდინარეობა, რომელიც შეუთავსებელია სტუდენტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროცესში მონაწილეობასთან, ასევე მშობიარობის შემდგომი პერიოდი (სტუდენტის სურვილის შემთხვევაში) ბავშვის აღზრდის მიზნით;

ე) სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევა ან სარეზერვო სამსახურის გავლა;

ვ) ფინანსური დავალიანება;

ზ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა შემთხვევა;

თ) სტუდენტის სტატუსის შეჩერება ასევე შესაძლებელია იმ შემთხვევაში თუ ჯგუფი სისტემატიურად არ ცხადდება ლექცია/პრაქტიკულზე (თუმცა სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი არ არსებობს);

ი) ამ წესის მე-3-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სტუდენტ(ებ)ს წერილობით მიეცემათ ერთი კვირის (7 კალენდარული დღე) ვადა მდგომარეობის გამოსასწორებლად, აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, კვლავ განხორციელდება სტუდენტების დასწრების შემოწმება მონიტორინგის ჯგუფის მიერ. შემოწმების შედეგად ჯგუფის მიერ ლექცია/პრაქტიკულის გაცდენის დაფიქსირების შემთხვევაში ჯგუფის ყველა სტუდენტს შეუჩერდება სტუდენტის სტატუსი <u>არაუმეტეს 3 წლის ვადით</u>.

2. ამ წესის მე-3-ე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლის არსებობისას სტუდენტი ან არასრულწლოვანი სტუდენტის შემთხვევაში მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი განცხადებით მიმართავს კოლეჯის დირექტორს და ითხოვს სტუდენტის სტატუსის შეჩერებას აღნიშნული გარემოებების აღმოფხვრისათვის საჭირო ვადით, სტატუსის აღდგენამდე, <u>არაუმეტეს 3 წლის ვადით</u>.

3. სტუდენტის ან არასრულწლოვანი სტუდენტის შემთხვევაში მშობელი/კანონიერი წარმომადგენლის მიერ წარდგენილ განცხადებას და დოკუმენტებს იხილავს კოლეჯის დირექტორი და იღებს გადაწყვეტილებას მისი დაკმაყოფილების, ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

4. სტუდენტის სტატუსის შეჩერება შესაძლებელია სტატუსის შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრისათვის საჭირო ვადით, <u>არაუმეტეს 3 წლის ვადით.</u>

5. სტუდენტის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში, სტატუსის აღდგენის შემდეგ სტუდენტი სწავლას აგრძელებს პროგრამის იმ მოდულიდან, რომელშიც არ აქვს მიღებული კრედიტები (არ უდასტურდება მოდულით გათვალისწინებული კომპეტენციების ფლობა), თუ ჩარჩო დოკუმენტი/პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი, რომლის საფუძველზეც იყო შემუშავებული აღნიშნული პროგრამა, სტუდენტის სტატუსის აღდგენის პერიოდისთვის არ არის გაუქმებული ან შეცვლილი.

6. სტუდენტის სტატუსის აღდგენა იმ დაწესებულებაში, სადაც პირს შეუჩერდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი, დასაშვებია კონკრეტულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გადაჭარბებით. ამ შემთხვევაში პროფესიული სტუდენტების საერთო რაოდენობის ზევით ჩარიცხული პირების რაოდენობა გამოაკლდება შესაბამის პროგრამაზე მომდევნო მიღებისათვის დაწესებულების მიერ დადგენილ სტუდენტთა მისაღები ადგილების რაოდენობას.

7. თუ პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის აღდგენის მომენტისათვის კოლეჯი აღარ ახორციელებს იმ პროგრამას (ჩარჩო დოკუმენტის/პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შეცვლის ან გაუქმების ან სხვა შემთხვევაში), რომელზეც სტუდენტს შეუჩერდა სტატუსი, სტუდენტის სტატუსის აღდგენა დასაშვებია სხვა პროგრამაზე მობილობის განხორციელების გზით.

8. პროგრამაზე სადაც ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა ხუთზე ნაკლებია სტუდენტს შეუძლია:

ა) განახორციელოს მობილობა (მობილობის უფლება პროფესიულ სტუდენტს წარმოეშობა მხოლოდ იმ პროგრამაზე, რომელზე დაშვების წინაპირობასაც ის აკმაყოფილებს) „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს" (დანართი №1) ერთი და იმავე დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მიმნიჭებელ პროგრამაზე.

ბ) გადავიდეს სხვა დაწესეულებაში, რომელთანაც კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება/მემორამდუმი სტუდენტის მობილობის შესახებ, აღნიშნული დაწესებულებიდან მიღებული წერილობითი თანხმობის საფუძველზე;

გ) შეიჩეროს სტუდენტის სტატუსი და, სურვილის შემთხვევაში, სტატუსი აღუდგება იგივე პროგრამაზე, კანონმდებლობის შესაბამისად ჩარიცხულ სტუდენტთა პირველივე ჯგუფში;

9. სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი, რომელიც გამოსცემს ბრძანებას სტუდენტის სტატუსის შეჩერების თაობაზე, კოლეჯის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ მომზადებული მოხსენებითი ბარათის საფუძველზე.

10. სტატუსის შეჩერების შემთხვევაში, კოლეჯის რეესტრის წარმოების სპეციალისტი, ამის შესახებ ინფორმაციას შეჩერებიდან მაქსიმუმ ერთ სამუშაო დღეში ასახავს კოლეჯის შესაბამის ელექტრონულ ბაზაში (რეესტრი).

11. სტატუსის შეჩერების შემთხვევაში სტუდენტს სტატუსი აღუდგება, მის მიერ ან არასრულწლოვანი სტუდენტის შემთხვევაში მშობელის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ კოლეჯის დირექტორის სახელზე შემოტანილი წერილობითი განცხადების საფუძველზე.

12. დაუშვებელია გაცვლითი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში საქართველოდან წასული პროფესიული სტუდენტისთვის სტატუსის შეჩერება.

13. კოლეჯის დირექტორი უფლებამოსილია ამ მუხლის პირველი პუქტით განსაზღვრული საფუძვლების გარდა, მხედველობაში მიიღოს სხვა დასაბუთებული გარემოებებიც, რაც შეიძლება გახდეს სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველი <u>არაუმეტეს 3 წლის ვადით</u>.

14. დუალური პროგრამის შემთხვევაში სტუდენტის სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება წერილობით თანხმდება შესაბამის კომპანიასთან.

15. პირი, რომელსაც შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი არ განიხილება დაწესებულების სტუდენტების ზღვრული რაოდენობის ფარგლებში.

მუხლი 4. მსმენელის სტატუსის შეჩერება.

1. <u>მსმენელის სტატუსის შეჩერების საფუძველია:</u>

ა) პირადი ან არასრულწლოვანის შემთხვევაში მშობელის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადება;

ბ) სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა - სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე თუ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულია პატიმრობა;
გ) სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა, თუ გასული არ არის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში გასაჩივრების ვადა;
დ) ჯანმრთელობის მდგომარეობა - ავადმყოფობა ან ორსულობის იმგვარი მიმდინარეობა, რომელიც შეუთავსებელია მსმენელის საგანმანათლებლო პროცესში მონაწილეობასთან;
ე) სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევა ან სარეზერვო სამსახურის გავლა;
ვ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა შემთხვევა;
ზ) კოლეჯის დირექტორი უფლებამოსილია ამ მუხლის პირველი პუქტით განსაზღვრული საფუძვლების გარდა, მხედველობაში მიიღოს სხვა დასაბუთებული გარემოებებიც, რაც შეიძლება გახდეს მსმენელის სტატუსის შეჩერების საფუძველი;
2. ამ წესის მე-4-ე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლის არსებობისას მსმენელი ან არასრულწლოვანის შემთხვევაში მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი განცხადებით (რომელსაც უნდა დაერთოს შესაბამისი გარემოების დამადასტურებელი დოკუმენტაცია) მიმართავს კოლეჯის დირექტორს და ითხოვს მსმენელის სტატუსის შეჩერებას აღნიშნული გარემოებების აღმოფხვრისათვის საჭირო ვადით, მაგრამ არაუმეტეს იმისა რა დროთიც კოლეჯს პროგრამის განხორციელების უფლება აქვს მოპოვებული.
3. აღნიშნული განცხადებას და დოკუმენტებს იხილავს კოლეჯის დირექტორი და იღებს გადაწყვეტილებას მისი დაკმაყოფილების, ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.
4. მსმენელის სტატუსის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი, რომელიც გამოსცემს ბრძანებას მსმენელის სტატუსის შეჩერების თაობაზე, კოლეჯის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ მომზადებული მოხსენებითი ბარათის საფუძველზე.
5. მსმენელის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში, კოლეჯის რეესტრის წარმოების სპეციალისტი, ამის შესახებ ინფორმაციას, შეჩერებიდან მაქსიმუმ ერთ სამუშაო დღეში, ასახავს კოლეჯის შესაბამის ელექტრონულ ბაზაში (რეესტრი).
6. მსმენელის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში, სტატუსის აღდგენის შემდეგ მსმენელი სწავლას აგრძელებს მოკლევადიანი პროგრამის დასწაყისიდან.
7. მსმენელის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია იმავე მოკლევადიან პროგრამაზე პირველივე მომდევნო ჯგუფში სწავლის დაწყებისას.

მუხლი 5. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

1. <u>სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:</u>

ა) სტატუსის შეჩერებისათვის დადგენილი ვადის გასვლა;
ბ) პროგრამის დასრულება;
გ) სტუდენტის ან არასრულწლოვანი სტუდენტის შემთხვევაში მშობელის/კანონიერი წარმომადგენელის პირადი განცხადება;
დ) კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის;
ე) პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა კვალიფიკაციის მისანიჭებლად დადგენილ ვადებში;
ვ) შინაგანაწესის დარღვევა - ისეთი დისციპლინური გადაცდომის ჩადენა, რომლის შედეგადაც სტუდენტის მიმართ გამოყენებული იქნება დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა – გარიცხვა;
ზ) გარდაცვალება;
თ) კოლეჯისათვის ყალბი დოკუმენტაციის წარდგენა, ან არასწორი ინფორმაციის მიწოდება, ან ისეთი დოკუმტაციის წარმოუდგენლობა თუ ინფორმაცის მიუწოდებლობა გონივრულ ვადაში, რაც გავლენას იქონიებდა სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ დადებითი გადაწყვეტილების მიღებაზე.
ი) სხვა კოლეჯში მობილობით გადასვლა;
ლ) სტატუსაღდგენილი სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერების გარემოებების ხელმეორედ დადგომა;
კ) პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგის მიუღწევლობა;
ლ) <u>მოდულის საკონტაქტო საათების 25 % -ზე მეტის</u> არასაპატიო მიზეზით გაცდენა.

მ) ფინანსური დავალიანების გასტუმრების ვადის გასვლა.
2. ამ წესის მე-5-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებებიდან ერთ-ერთის არსებობის შემთხვევაში სტუდენტს შეუწყდება სტუდენტის სტატუსი.
3. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი, რომელიც გამოსცემს ბრძანებას სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე, კოლეჯის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ მომზადებული მოხსენებითი ბარათის საფუძველზე.
4. სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, კოლეჯის რეესტრის წარმოების სპეციალისტი, ამის შესახებ ინფორმაციას, შეჩერებიდან მაქსიმუმ ერთ სამუშაო დღეში, ასახავს კოლეჯის შესაბამის ელექტრონულ ბაზაში (რეესტრი).
5. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში მისი მოპოვება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 6. მსმენელის სტატუსის შეწყვეტა

1. <u>მსმენელის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:</u>

ა) სტატუსის შეჩერებისათვის დადგენილი ვადის გასვლა;
ბ) მოკლევადიანი პროგრამის დასრულება და შესაბამისი სერტიფიკატის გაცემა;
გ) მსმენელის ან არასრულწლოვანის შემთხვევაში მშობელის/კანონიერი წარმომადგენელის პირადი განცხადება;
დ) კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის;
ე) მოკლევადიანი პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა, კერძოდ სწავლის შედეგების ვერ/არ დადასტურება დადგენილ ვადებში;
ვ) შინაგანაწესის დარღვევა - ისეთი დისციპლინური გადაცდომის ჩადენა, რომლის შედეგადაც მსმენელის მიმართ გამოყენებული იქნება დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა – გარიცხვა;
ზ) გარდაცვალება;
თ) კოლეჯისათვის ყალბი დოკუმენტაციის წარდგენა, ან არასწორი ინფორმაციის მიწოდება, ან ისეთი დოკუმტაციის წარმოუდგენლობა თუ ინფორმაცის მიუწოდებლობა გონივრულ ვადაში, რაც გავლენას იქონიებდა მსმენელის ჩარიცხვის შესახებ დადებითი გადაწყვეტილების მიღებაზე.
ი) სტატუსაღდგენილი მსმენელისათვის სტატუსის შეჩერების გარემოებების ხელმეორედ დადგომა;
კ) მოკლევადიანი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგის მიუღწევლობა;
ლ) მოკლევადიანი პროგრამის საკონტაქტო საათების 25 % -ზე მეტის არასაპატიო მიზეზით გაცდენა;
მ) ფინანსური დავალიანება.
2. ამ წესის მე-6-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებებიდან ერთ-ერთის არსებობის შემთხვევაში მსმენელს შეუწყდება მსმენელის სტატუსი.
3. მსმენელის სტატუსის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი, რომელიც გამოსცემს ბრძანებას მსმენელის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე, კოლეჯის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ მომზადებული მოხსენებითი ბარათის საფუძველზე.
4. მსმენელის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, კოლეჯის რეესტრის წარმოების სპეციალისტი, ამის შესახებ ინფორმაციას, შეწყვეტიდან მაქსიმუმ ერთ სამუშაო დღეში, ასახავს კოლეჯის შესაბამის ელექტრონულ ბაზაში (რეესტრი).
5. მსმენელის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში მისი მოპოვება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 7. სტუდენტის შიდა და გარე მობილობა

1. სტუდენტის მობილობასთან დაკავშირებულინ საკითხები რეგულირდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 სექტემბრის №198/ნ ბრძანების „პროფესიული სტუდენტის მობილობის წესის დამტკიცების“ საფუძველზე, ასევე წინამდებარე წესის გათვალისწინებით.

2. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ (დანართი №1) ერთი და იმავე დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მიმნიჭებელი პროგრამის ფარგლებში. მობილობის უფლება პროფესიულ სტუდენტს წარმოეშობა მხოლოდ იმ პროგრამაზე, რომელზე დაშვების წინაპირობასაც ის აკმაყოფილებს.

3. შიდა ან გარე მობილობის უფლება აქვს პირს, რომელმაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი მოიპოვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. სტუდენტის მობილობას ახორციელებს კოლეჯის დირექტორი დაინტერესებული პირის წერილობითი განცხადების საფუძველზე.

5. შიდა მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს შესაბამის პროგრამაზე სწავლის დაწყებიდან არაუგვიანეს პირველადი დაფინანსების დადასტურების ბოლო ვადამდე (სწავლის დაწყებიდან 2 ან 3 კვირა).

6. შიდა მობილობით ჩარიცხვის უფლების მოპოვების მიზნით სტუდენტი, ხოლო არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში მისი კანონიერი წარმომადგენელი განცხადებით მიმართავს იმავე დაწესებულებას. განცხადებაში უნდა აღინიშნოს იმ პროგრამის სახელწოდება, რომელზეც პირს სურს გადასვლა.

7. გარე მობილობის განხორციელების მიზნით სტუდენტმა ან არასრულწლოვანი სტუდენტის შემთხვევაში მშობელის/კანონიერი წარმომადგენელი განცხადებას თან უნდა ერთვოდეს:

ა) იმ დოკუმენტის ასლი, რომლის საფუძველზეც პირი ჩაირიცხა კოლეჯში;

ბ) სტუდენტის პირად საქმეში არსებული სხვა დოკუმენტაციის (პირადობის მოწმობის, საბაზო/საშუალო ან უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების, ა.შ.) ასლები;

გ) საჭიროების შემთხვევაში კოლეჯის ადმინისტრაციის მიერ გადაწყვეტილების მისაღებად შესაძლებელია მოთხოვნილი იქნას აუცილებელი სხვა დოკუმენტ(ებ)იც, რომელთა დადგენილ (მითითებულ) ვადაში წარმოუდგენლობა შესაძლებელია გახდეს პირის მიმართ მობილობაზე უარის თქმის საფუძველი.

8. გარე მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს ნებისმიერ დროს, მაგრამ არაუგვიანეს ერთი თვისა შესაბამისი პროგრამის დასრულებამდე, მიმღები პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მიღებული წერილობითი თანხმობის საფუძველზე.

9. გარე მობილობით ჩარიცხვის უფლების მოპოვების მიზნით სტუდენტი, ხოლო არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში მისი კანონიერი წარმომადგენელი განცხადებით მიმართავს მიმღებ დაწესებულებას.

10. მიმღები დაწესებულება უფლებამოსილია სისტემიდან დამატებით მოიპოვოს ინფორმაცია სტუდენტის სტატუსის, არსებობის შემთხვევაში სტატუსის შეჩერების საფუძვლების და მის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შესახებ.

11. მიმღები დაწესებულება უფლებამოსილია უარი განაცხადოს პირის მობილობით ჩარიცხვაზე, თუ:

ა) დაწესებულებას არ აქვს ვაკანტური ადგილები პროგრამისათვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში;

ბ) დაწესებულება ვერ უზრუნველყოფს მობილობის მსურველი პირის შემდგომ განათლებას მიმღები პროგრამის განხორციელების სპეციფიკის გათვალისწინებით;

გ) მობილობის მსურველი ვერ აკმაყოფილებს დაწესებულების მიერ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის დადგენილ წინაპირობებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

12. მობილობის მსურველი პირის განცხადების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება პირის ჩარიცხვის ან ჩარიცხვაზე უარის თქმის შესახებ ხდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადებში.

მუხლი 8. მობილობის მსურველი სტუდენტის მიერ მიღებული განათლების აღიარება

1. საჭიროების შემთხვევაში მობილობის განსახორციელებლად, კოლეჯი ადგენს მობილობის მსურველი პირის მიერ მითითებულ პროგრამასთან ან მის ნაწილთან სტუდენტის მიერ გავლილი პროგრამის ან მისი ნაწილის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების ურთიერთთავსებადობას, აღიარების გზით,

საქართველოს კანონმდებლობითა და დაწესებულების შიდა მარეგულირებელი აქტით დადგენილი წესის შესაბამისად.

2. აღიარება ხორციელდება კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ მომზადებული მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, რომელშიც დასკვნის სახით მიეთითება მობილობის მსურველი სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის ან მისი ნაწილის შესაბამისობა-თავსებადობა მიმღები დაწესებულების შესაბამის პროგრამასთან ან მის ნაწილთან, ხოლო შიდა მობილობის შემთხვევაში – კოლეჯის სხვა პროგრამასთან ან მის ნაწილთან, ასევე მიეთითება აღიარებული სწავლის შედეგები და კრედიტების რაოდენობა.

3. ამ წესის მე-8 მუხლის მე-2-ე პუნქტში მითითებული სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ბრძანებას აღიარების შესახებ.

4. აღიარებას ექვემდებარება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების იმ პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზეც ჩარიცხვა და სწავლება განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. სტუდენტის მიერ გავლილი პროგრამის ან მისი ნაწილის შინაარსობრივი შესწავლის შედეგად, შესაძლებელია დადგინდეს კოლეჯის პროგრამის ან მისი ნაწილის შინაარსის (სწავლის შედეგების) შესაბამისობა, პროგრამის/მოდულის სახელწოდებაში არსებული სხვაობის მიუხედავად.

6. გამონაკლის შემთხვევაში ხარისხის მართვის მენეჯერი სამსახურებრივი ბარათით მიმართავს კოლეჯის დირექტორს სწავლის შედეგების აღიარება-თავსებადობის კომისიის შექმნის შესახებ, აღნიშნული კომისია უფლებამოსილია გასაუბრების ან შეფასების საფუძველზე დაადგინოს მობილობის მსურველი პირის პროგრამით ან მისი ნაწილით გათვალისწინებული კომპეტენციების შემოწმება და მათი იმ პროგრამასთან ან მის ნაწილთან თავსებადობა, რომელზეც პირი აპირებს სწავლის გაგრძელებას. გასაუბრების ან შეფასების საფუძველზე დადგენილი შეუთავსებლობა ჩაითვლება არსებით შეუთავსებლობად, რაც წარმოადგენს მობილობის განხორციელებაზე უარის თქმის საფუძველს.

7. ამ წესის მე-8 მუხლის მე-3-ე პუნქტში მითითებული ბრძანების საფუძველზე რეესტრის წარმოების სპეციალისტი ინფორმაციას კანონმდებლობით დადგენილი წესით ასახავს შესაბამის ელექტრონულ ბაზაში (რეესტრი).

მუხლი 9. პროგრამის შეცვლის, გაუქმების ან ავტორიზაციის შეწყვეტის ან შეჩერების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

1. ჩარჩო დოკუმენტის/პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შეცვლის ან გაუქმებისას კოლეჯი უფლებამოსილია სწავლა დაასრულებინოს და მიანიჭოს კვალიფიკაცია იმ პროგრამის სტუდენტებს, რომლებმაც სწავლა დაიწყეს გაუქმების თარიღამდე.

2. პროგრამაზე ავტორიზაციის შეწყვეტის ან შეჩერების შემთხვევაში კოლეჯი, სტუდენტთან შეთანხმებით, შესაბამისი ვადების დაცვით, უზრუნველყოფს მის გადაყვანას ამავე კოლეჯის სხვა პროგრამაზე შიდა მობილობით ან გარე მობილობით იმ ალტერნატიულ დაწესებულებაში, რომელთანაც გაფორმებული აქვს მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.

მუხლი 10. პროგრამაზე რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურენოვანი ტესტირების შედეგების საფუძველზე ჩარიცხული სტუდენტების სწავლება

1. სტუდენტი, რომლიც პროგრამაზე ჩაირიცხა რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურენოვანი ტესტირების შედეგების საფუძველზე სწავლებას იწყებს „ქართული ენა A2“ მოდულით.

2. „ქართული ენა A2“ მოდულის სწავლის შედეგების დაძლევის შემდეგ, თუ სტუდენტი ჩარიცხულია საშუალო ან უმაღლესი საფეხურის პროგრამაზე, იგი სწავლას აგრძელებს „ქართული ენა B1“ მოდულით.

3. „ქართული ენა A2“ ან/და „ქართული ენა B1“ მოდულის სწავლის შედეგების დაძლევის შემდეგ სტუდენტი უფლებამოსილია სწავლა განაგრძოს იმ პროგრამაზე რომელზეც ჩაირიცხა რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურენოვანი ტესტირების შედეგების საფუძველზე:

ა) მომდევნო მიღებაზე იმ პროგრამაზე ჯგუფის გახსნის შემთხვევაში, რომელზეც განხორციელდა მისი ჩარიცხვა.

ბ) მომდევნო მიღებაზე იმ პროგრამაზე ჯგუფის არგახსნის შემთხვევაში, რომელზეც განხორციელდა მისი ჩარიცხვა, ისარგებლოს შიდა მობილობით წინამდებარე წესის მე -7 მუხლის მე -2 -ე და მე -3-ე პუნქტის შესაბამისად.

გ) მომდევნო მიღებაზე ჯგუფის კვლავ არგახსნის შემთხვევაში შეიჩეროს პროფესიული სტუდენტის სტატუსი და სწავლა განაგრძოს (აღიდგინოს სტატუსი) იმ პროგრამაზე, რომელზეც განხორციელდა მისი ჩარიცხვა, მას შემდეგ რაც აღნიშნულ პროგრამაზე მოხდება ჯგუფის გახსნა სტატუსის შეჩერების ვადის გათვალისწინებით (არაუმეტეს 3 წლის ვადით).

დ) ისარგებლოს გარე მობილობით ამ წესის მე-7 მუხლის შესაბამისად იმ ალტერნატიულ კოლეჯში, რომელთანაც კოლეჯს გაფორმებული აქვს მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.

4. „ქართული ენა A2“ ან/და „ქართული ენა B1“ მოდულის სწავლის შედეგების დაძლევის შემდეგ სტუდენტს ენიჭება მომლოდინე სტუდენტის სტატუსი და ინფორმაციის ასახვა ხორციელდება შესაბამის ელექტრონულ ბაზაში. მომლოდინე სტუდენტის სტატუსი ენიჭება პირს არაუმეტეს 3 წლის ვადით. აღნიშნული ვადის გასვლის შემდგომ მომლოდინე სტუდენტს შეუწყდება სტუდენტის სტატუსი.

5. „ქართული ენა A2“ ან/და „ქართული ენა B1“ მოდულის სწავლი შედეგების დაუძლევლობის შემთხვევაში სტუდენტს შეუწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი.